- დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 5 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების წესდებით;
- სტუდენტების პირადი საქმეებით;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემით (evet.emis.ge).

შეფასება:

- ✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გაწერილია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 5 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 თავში, საიდანაც ირკვევა, რომ დაწესებულება სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

- სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ახალ ტალღასთან 2014 წლის 4 მარტს შეუზღუდავი ვადით;
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-სთან 2014 წლის 5 თებერვალს შეუზღუდავი ვადით;
- სსიპ პროფესიულ კოლეჯ ბლექსი-სთან 2013 წლის 7 მარტს შეუზღუდავი ვადით;

სადაც მხარეები იღებენ ვალდებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება და სტუდენტების ერთმანეთის სასწავლო დაწესებულებებში გადაყვანისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, კოლეჯების შიდა ინსტრუქციების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

დაწესებულება ასევე წარმოადგენს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 5 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების წესდებით;
- სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ახალ ტალღასთან 2014 წლის 4 მარტს შეუზღუდავი ვადით გაფორმებული მემორანდუმით;
- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-სთან 2014 წლის 5 თებერვალს შეუზღუდავი ვადით გაფორმებული მემორანდუმით;
- სსიპ პროფესიულ კოლეჯ ბლექსი-სთან 2013 წლის 7 მარტს შეუზღუდავი ვადით გაფორმებული მემორანდუმით.

შეფასება:

- ✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 27 დეკემბრის №30 ბრძანებით. რითიც ირკვევა, რომ დაწესებულებაში მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ახორციელებს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. შეფასების მიზნით შემუშავებულია კითხვარები შემდეგ მიზნობრივ ჯგუფებზე:

ა) პროფესიული სტუდენტები;

ბ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;

გ) პროგრამის ხელმძღვანელი;

დ) პროგრამის კურსდამთავრებული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

ე) დამსაქმებელი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების საბოლოო შედეგები განიხილება ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს სხდომაზე, მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე პროგრამის განხორციელების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდება მოქმედებათა კონკრეტული გეგმა.

დაწესებულებას, საგნობრივი პროგრამების განხორციელების დროს, შემუშავებული ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინსტრუქცია. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა პროგრამის განხორციელების შეფასების ჩატარებისა და მიღებული მონაცემების ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულებას ვიზიტის დროისთვის არ ქონდა შემუშავებული რეკომენდაციები გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე.

რეკომენდაცია: დაწესებულებამ შეიმუშავოს პროგრამის განვითარების პროცესში სტუდენტთა და მასწავლებელთა შეფასების ჩართვისა და მათგან უკუკავშირის მიღების მექანიზმები. მაგ.: სამიზნე ჯგუფებში მოტივაციის ამაღლება, ფოკუს-ჯგუფების შექმნა, კითხვარების მოცულობის გადახედვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის დირექტორის 2018 წლის 27 დეკემბრის N30 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.

შეფასება:

- ✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: **„საბაჟო საქმე“, „ბუღალტრული აღრიცხვა“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, „აღმზრდელი“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“„საექთნო განათლება“,** სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი [redacted]) მისამართზე ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №3ა და მასზე მიმაგრებული შენობა ნაგებობები საერთო ფართით 1143,89 კვ.მ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №3ა	1143,89

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (განცხადების რეგისტრაცია: [redacted]).

შეფასება:

- ✓ <u>**ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**</u>
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო A,B,C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეშიც იქნას განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და B, ან B და C, ან A და C გარემო.

დაწესებულებას გააჩნია თითოეული დასამატებელი პროგრამისთვის საჭირო ყველა ტიპის სასწავლო გარემო, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„საბაჟო საქმე“** გამოყოფილია B ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 203-ის სახით, სადაც განთავსებულია 12 ერთადგილიანი მაგიდა სკამით. თითოეულ მაგიდაზე არის სტუდენტისთვის განკუთვნილი სამაგიდე კომპიუტერი, პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს მონიტორი და კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები), არის დაფა და საკანცელარიო ნივთები. სამაგიდე კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და თითოეულში ჩაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამები „E-customs“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„საბაჟო საქმე“,** გამოყოფილია A და C ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 402-ის სახით, რომელიც გათვალისწინებულია 24 სტუდენტისთვის. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდო კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პრინტერი, პროექტორი, ეკრანი, დაფა, საკანცელარიო ნივთები და C გარემოსთვის განკუთვნილი აღჭურვილობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„საბაჟო საქმე“** მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 48. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 სასწავლო წელი. პროფესიული სტუდენტების მიღება ცხადდება წელიწადში ერთხელ. თითოეულ მიღებაზე მოხდება არაუმერეს 24 პროფესიული სტუდენტის მიღება. დაწესებულების პროფესიული განათლების წესდების მე-18 თავის თანახმად, სასწავლო აუდიტორიის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 50 საათს შაბათის ჩათვლით. სწავლება განხორციელდება ორცვლიან რეჟიმში. სათანადო ინვენტარი საკმარისია მოთხოვნილი კვოტისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ბუღალტრული აღრიცხვა“** გამოყოფილია B ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 302-ის სახით, სადაც განთავსებულია 14 ერთადგილიანი მაგიდა სკამით. თითოეულ მაგიდაზე არის სტუდენტისთვის განკუთვნილი სამაგიდე კომპიუტერი, პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს მონიტორი და კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები), არის დაფა და საკანცელარიო ნივთები. სამაგიდე კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და თითოეულში ჩაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ბუღალტრული აღრიცხვა“** გამოყოფილია B ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 304-ის სახით, სადაც განთავსებულია 14 ერთადგილიანი მაგიდა სკამით. თითოეულ მაგიდაზე არის სტუდენტისთვის განკუთვნილი სამაგიდე კომპიუტერი, პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

მონიტორი და კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები), არის დაფა და საკანცელარიო ნივთები. სამაგიდე კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და თითოეულში ჩაწერილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ბუღალტრული აღრიცხვა“,** გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 301-ის სახით, სადაც განთავსებულია 30 ერთადგილიანი მაგიდა სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდო კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პრინტერი, მონიტორი, დაფა და საკანცელარიო ნივთები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ბუღალტრული აღრიცხვა“** მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 56. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 სასწავლო წელი. პროფესიული სტუდენტების მიღება ცხადდება წელიწადში ერთხელ. თითოეულ მიღებაზე მოხდება არაუმერეს 28 პროფესიული სტუდენტის მიღება. დაწესებულების პროფესიული განათლების წესდების მე-18 თავის თანახმად, სასწავლო აუდიტორიის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 50 საათს შაბათის ჩათვლით. სწავლება განხორციელდება ორცვლიან რეჟიმში. სათანადო ინვენტარი საკმარისია მოთხოვნილი კვოტისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** გამოყოფილია B და C ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 305-ის სახით, სადაც განთავსებულია 14 ერთადგილიანი მაგიდა სკამით. თითოეულ მაგიდაზე არის სტუდენტისთვის განკუთვნილი სამაგიდე კომპიუტერი, პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები). სამაგიდე კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში. აუდიტორიაში არის C სასწავლო გარემოსათვის განკუთვნილი აღჭურვილობა და ერთი კომპიუტერი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“,** გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 303-ის სახით, სადაც განთავსებულია 14 ორდგილიანი მაგიდა 28 სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდო კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს კომბაინი, მონიტორი, დაფა, საკანცელარიო ნივთები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 28. პროგრამის ხანგრძლივობაა 1 სასწავლო წელი. პროფესიული სტუდენტების მიღება ცხადდება წელიწადში ერთხელ. თითოეულ მიღებაზე მოხდება 28 პროფესიული სტუდენტის მიღება. დაწესებულების პროფესიული განათლების წესდების მე-18 თავის თანახმად, სასწავლო აუდიტორიის კვირეული დატვირთვა არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

უნდა აღემატებოდეს 50 საათს შაბათის ჩათვლით. სწავლება განხორციელდება ორცვლიან რეჟიმში. სათანადო ინვენტარი საკმარისია მოთხოვნილი კვოტისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„აღმზრდელი“** გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 401-ის სახით, სადაც განთავსებულია 24 ერთადგილიანი მაგიდა სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდო კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, დაფა და საკანცელარიო ნივთები.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„აღმზრდელი“** გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 405-ის სახით, სადაც განთავსებულია 32 ერთადგილიანი მაგიდა სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდო კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პროექტორი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები), დაფა და საკანცელარიო ნივთები.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„აღმზრდელი“** მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 56. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 სასწავლო წელი. პროფესიული სტუდენტების მიღება ცხადდება წელიწადში ერთხელ. თითოეულ მიღებაზე მოხდება 28 პროფესიული სტუდენტის მიღება. დაწესებულების პროფესიული განათლების წესდების მე-18 თავის თანახმად, სასწავლო აუდიტორიის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 50 საათს შაბათის ჩათვლით. სწავლება განხორციელდება ორცვლიან რეჟიმში. სათანადო ინვენტარი საკმარისია მოთხოვნილი კვოტისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ფარმაცია (სააფთიაქო)“,** გამოყოფილია A და C ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 202-ის სახით, სადაც განთავსებულია 32 ერთადგილიანი მაგიდა სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდო კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს კომბაინი, მონიტორი, დაფა, საკანცელარიო ნივთები და C გარემოს აღჭურვილობა. მოდულებისთვის „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“, „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“ და „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“, დაწესებულებას გააჩნია სიმულაციური აფთიაქი.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ფარმაცია (სააფთიაქო)“,** გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 303-ის სახით, სადაც განთავსებულია 14 ორდგილიანი მაგიდა 28

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდო კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს კომბაინი, მონიტორი, დაფა, საკანცელარიო ნივთები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ფარმაცია (სააფთიაქო)“,** გამოყოფილია C ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 101-ის სახით, სადაც განთავსებულია C გარემოს აღჭურვილობა. ფარმაცევტული ქიმიის ლაბორატორია - აღჭურვილია ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად, ყველა საჭირო ინვენტარით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ფარმაცია (სააფთიაქო)“** მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 56. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 სასწავლო წელი. პროფესიული სტუდენტების მიღება ცხადდება წელიწადში ერთხელ. თითოეულ მიღებაზე მოხდება 28 პროფესიული სტუდენტის მიღება. დაწესებულების პროფესიული განათლების წესდების მე-18 თავის თანახმად, სასწავლო აუდიტორიის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 50 საათს შაბათის ჩათვლით. სწავლება განხორციელდება ორცვლიან რეჟიმში. სათანადო ინვენტარი საკმარისია მოთხოვნილი კვოტისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„საექთნო განათლება“**, გამოყოფილია A ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 201-ის სახით, სადაც განთავსებულია 24 ერთადგილიანი მაგიდა სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდე კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს მონიტორი და კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები), არის დაფა და საკანცელარიო ნივთები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„საექთნო განათლება“**, გამოყოფილია A და C ტიპის სასწავლო გარემო აუდიტორია 204-ის სახით, სადაც განთავსებულია 24 ერთადგილიანი მაგიდა სკამით. პედაგოგისთვის არის მაგიდა, სკამი და ერთი სამაგიდო კომპიუტერი. აუდიტორიაში არსებობს პრინტერი, მონიტორი, დაფა საკანცელარიო ნივთები და C გარემოს აღჭურვილობა. C გარემო უზრუნველყოფილია ადამიანის ანატომიის სწავლებისთვის საჭირო მულაჟებით (უნივერსალური მულაჟი, ჩონჩხი კუნთებით, ანატომიური მოდელები,ზედა კიდურის მულაჟი ინტრავენური მანიპულაციებისათვის).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„საექთნო განათლება“** მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 72. პროგრამის ხანგრძლივობაა 3 სასწავლო წელი. პროფესიული სტუდენტების მიღება ცხადდება წელიწადში ერთხელ. თითოეულ მიღებაზე მოხდება 28 პროფესიული სტუდენტის მიღება. დაწესებულების პროფესიული განათლების წესდების მე-18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

თავის თანახმად, სასწავლო აუდიტორიის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 50 საათს შაბათის ჩათვლით. სწავლება განხორციელდება ორცვლიან რეჟიმში. სათანადო ინვენტარი საკმარისია მოთხოვნილი კვოტისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით და ცენტრალური გათბობით. დაწესებულება არის ენერგოპროს აბონენტი [redacted] და იხდის ყოველთვიურ გადასახადს. შენობის გათბობა ხორციელდება ელექტრო ღუმელებით. სამოქმედო გეგმაში არის ჩანაწერი, სადაც 2020 წლისთვის უნდა დამონტაჟდეს ცენტრალური გათბობა,

დაწესებულება მიერთებულია წყალმომარაგების ქსელზე და უზრუნველყოფილია უწყვეტი წყალმომარაგებით. დაწესებულება არის შპს ბათუმის წყალის აბონენტი [redacted] და იხდის ყოველთვიურ გადასახადს.

დაწესებულებაში განთავსებულია სველი წერტილები ცალკე ქალებისთვის და მამაკაცებისთვის. დაწესებულებაში არსებობს სველი წერტილი, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- კომუნალური გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებთ.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელს აქვს ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია შემდეგი პუნქტები: ზოგადი დებულებანი, ბიბლიოთეკის სტრუქტურა, ბიბლიოთეკაში გაწევრიანება, ბიბლიოთეკის მკითხველის უფლება-მოვალეობანი, სამკითხელო დარბაზში მოქცევის წესები, ბიბლიოთეკის წიგნის გატანის პროცედურა, მკითხველთა პასუხისმგებლობა, ბიბლიოთეკის გამგის/ბიბლიოთეკარის დანიშვნის წესი, ბიბლიოთეკის მუშაობის დრო (სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი 09:00სთ-19:00სთ, შაბათი 10:00სთ-16:00სთ). ბიბლიოთეკის დებულება დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 24 დეკემბრის №27 ბრძანებით. ბიბლიოთეკარად მუშაობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორი ბიბლიოთეკარი და მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა ბიბლიოთეკის ოთახი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამკითხველო დარბაზით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკის ოთახში დგას ინტერნეტში ჩართული 1 ცალი სამაგიდე კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, პრინტერი და ასლგადამღები, პროფესიული სტუდენტებისთვის 8 ორადგილიანი მერხი და 16 სკამი.

ბიბლიოთეკაში არსებობს ანბანური და ელექტრონული კატალოგი. წიგნები დამოწმებულია საბიბლიოთეკო წესით. მოდულებში მითითებული ელექტრონული რესურსი შენახულია CD

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

დისკებით და ბიბლიოთეკის კომპიუტერშია განთავსებული. ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნი აყვანილია ორგანიზაციის ბალანსზე.
ექსპერტების მიერ გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი და შედარებულ იქნა მოდულებში მითითებულ სასწავლო რესურსებს. სასწავლო რესურსები ბიბლიოთეკის კატალოგში მოიძებნა. ასევე არსებობს მატერიალური სახითაც.
დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება, ელექტრონული კატალოგი, ციფრული ბიბლიოთეკა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით;
- ბიბლიოთეკის დებულებით დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 24 დეკემბრის №27 ბრძანებით;
- ვებ გვერდი http://biu-profcollage.ge/89/index.php/about-joomla/2013-11-28-06-52-46;
- CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოებით;
- ბიბლიოთეკარებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- 2019 წლის 7 თებერვლის დირექტორის №10 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებით და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- 2018 წლის 12 ნოემბრის დირექტორის №19 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგით.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები: 71 სამაგიდო კომპიუტერი, აქედან საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენება 68, ხოლო ფაკულტეტის ადმინისტრაცის მართვაში - 3 სამაგიდო კომპიუტერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ასევე იყენებს 8 ცალ მონიტორს, 4 ცალ პროექტორს და ამდენივე პროექტორის ეკრანს.
დაწესებულებას აქვს 12 ცალი მრავალფუნქციური პრინტერი (პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები) და 3 ცალი პრინტერი.
შენობის ყველა სართულზე დამონტაჟებულია ქსელური მოწყობილობები, საიდანაც ვრცელდება ინტერნეტ კავშირი. ფუნქციონირებს 4 კომპიუტერული კაბინეტი, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ იმუშაონ საჭიროებისამებრ.
დაწსებულების მართვის პროცესში გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა და ვებგვერდი. დაწესებულება ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ვებგვერდით http://biu-profcollage.ge;
- 2019 წლის 19 მარტის დირექტორის №22 ბრძანებით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური საშუალებების საგანმანათლებლო საქმიანობაში გამოყენებისა და სტანდარტების შესაბამისად სასწავლო გარემოში მისი განაწილების შესახებ.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას გააჩნია საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის №28 ბრძანებით, და ამ წესების დაცვით მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

სასწავლებელი აწარმოებს შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალს, ბრძანებების რეგისტრაციის წიგნს, მემორანდუმების, ხელშეკრულებების, დიპლომებისა და დუბლიკატების რეგისტრაციის ჟურნალს. ჟურნალები დანომრილია, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, რაც უზრუნველყოფს სანდოობას და მთლიანობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სარეგისტრაციო წიგნებით და ჟურნალებით;
- დირექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის №28 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესით.

შეფასება:

- ✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 14 მარტის №20 ბრძანებით, რის მიხედვითაც დაცვის სამსახური უზრუნველყოფს პერსონალის და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოებას, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში დაწესებულების ტერიტორიაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების დახმარებას გადაადგილების დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

დაწესებულებას გააჩნია სათანადო უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული ევაკუაციის გეგმა, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას. ყველა სართულზე განლაგებულია ექსპლუატაციისთვის ვარგისი ცეცხლმაქრები, ევაკუაციის გზის მაჩვენებლები.
დაწესებულებასი არსებობს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაწესებულებაში არსებობს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით, მათ შორის: მრავალფუნქციური საწოლითა და მაგიდით, საჭირო გადაუდებელი სამკურნალო საშუალებებით და წნევის აპარატით. პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფისათვის დაწესებულებას ჰყავს კვალიფიციური პერსონალი - მედდა, რომელტანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.
დაწესებულებას 2019 წლის 15 მარტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება №52 შპს საკუთრების დაცვის სამმართველო-1-თან, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის დაცვას ცდპ-ს (ცენტრალური დაცვის პულტის) მეშვეობით, რომელიც ხორციელდება დაცვის საგანგაშო სიგნალის დანერგვით.
დირექტორის 2019 წლის 4 მარტის №16 ბრძანებით შექმნილია შრომის უსაფრთხოების სამსახური.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო გეგმით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- 2019 წლის 15 მარტის №52 ხელშეკრულებით შპს საკუთრების დაცვის სამმართველო-1-თან;
- დირექტორის 2019 წლის 14 მარტის №20 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესით;
- ექთანთან და დაცვის სამსახურის თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით;
- საშტატო განრიგით დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 12 ნოემბრის №19 ბრძანებით;
- დირექტორის 2019 წლის 4 მარტის №16 ბრძანებით შრომის უსაფრთხოების სამსახურის შექმნის შესახებ;
- მედდასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით;
- 2019 წლის 7 თებერვლის დირექტორის №10 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებით და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

- 2018 წლის 12 ნოემბრის დირექტორის №19 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგით;
- 2018 წლის 25 დეკემბრის დირექტორის №29 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით.

შეფასება:

- ✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიულ სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. შენობის შესასვლელში არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების გადაადგილებისათვის განკუთვნილი სპეციალური ასასვლელი. შენობის პირველ და მეორე სართულზე არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი შესაბამის ადგილზე სავალდებულო სახელურებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის გამოყოფილია პირველ სართულზე ოთახი. დამონტაჟებულია ასაკეცი პანდუსები.

კოლეჯის დაცვის სამსახური ვალდებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს აღმოუჩინოს ყველა სახის დახმარება შენობაში შეუფერხებელი და კომფორტული გადაადგილების საკითხში.

დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 3 დეკემბრის №22 ბრძანებით დამტკიცებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მომსახურების წესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2018 წლის 3 დეკემბრის №22 ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მომსახურების წესით;
- დირექტორის 2019 წლის 7 თებერვლის №10 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირებით;
- დაცვის თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით;
- 2019 წლის 7 თებერვლის დირექტორის №10 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებით და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- 2018 წლის 12 ნოემბრის დირექტორის №19 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგით.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ-გვერდია www.biu-profcollage.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების შესახებ შემდეგი ინფორმაცია: სიახლეები, მისია და ხედვა, სტრუქტურა, დაწესებულების სამართლებრივი აქტები, საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ელექტრონული კატალოგი, დაწესებულების განვითარების გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტო გალერეა და სხვა.

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია და დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დასამატებელი პროგრამების შესახებ, თუმცა არსად არ არის მითითებული, რომ დაწესებულება ამ პროგრამებს ჯერ არ ახორციელებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

რეკომენდაცია: დაწესებულებამ დასამატებელი პროგრამები საკუთარ ვებ გვერდზე განათავსოს ანონსის სახით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდით www.biu-profcollage.ge;
- ინტერნეტ-მომსახურეობის შესყიდვის შესახებ 2011 წლის 28 თებერვალს სს სილქნეტთან გაფორმებული №22280-851437 ხელშეკრულებით;
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების სტრატეგიული (2019-2024) და ერთწლიანი (2019) სამოქმედო გეგმები, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის №1 ბრძანებით. სტრატეგიული გეგმები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს პროფესიული მიმართულებით მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. სამოქმედო გეგმებში მოცემულია კონკრეტული აქტივობების აღწერა. მასში გაწერილია: სტრატეგიული ამოცანები, დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები და შესრულების ინდიკატორები.
დაწესებულება ადგენს სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებს. დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ იქნა წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

- შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის დირექტორის ბრძანება N1 (11.01.2019);
- 2019 წლის სამოქმედო გეგმა და 2019-2024 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

შეფასება:

- ✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე მუშაობს 18 პირი. დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. თითოეულ მათგანთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 7 თებერვლის №10 ბრძანებით დამტკიცებულ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში. პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში (**evet.emis.ge**).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- 2019 წლის 7 თებერვლის დირექტორის №10 ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებით და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- 2018 წლის 12 ნოემბრის დირექტორის №19 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- 2018 წლის 25 დეკემბრის დირექტორის №29 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემით (**evet.emis.ge**).

შეფასება:

- ✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 316/34 (8,5).

საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულების მიერ საბაჟო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 48 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 48/8 (6).

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების 6 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 56 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 56/6 (9,33).

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების 7 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 28 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 28/7 (4).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების 12 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ აღმზრდელის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 56 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 56/12 (4,6).

ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების 12 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 56 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 56/12 (4,6).

საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების 18 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია 72 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობაა 72/18 (4).

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესახებ ინფორმაცია ასახულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში (**evet.emis.ge**). მათთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის პროცესში გადამოწმებულ იქნა პროგრამების განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეები. პროგრამის განმახორციელებელთა პირად საქმეების გადამოწმებისას, ასევე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში გადმოგზავნილი დოკუმენტების გადამოწმებისას, არსებული დოკუმენტაციით (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ყველა პროგრამაში მოდულების განმახორციელებლად მითითებულია თითო პედაგოგი, რაც მოდულის უწყვეტ რეჟიმში სწავლის საშუალებას ეჭვქვეშ აყენებს. უფრო მეტიც, ერთი პროფესიული მასწავლებელი რიგ შემთხვევებში მოიაზრება 5 და ზოგ შემთხვევაში 8 ან 9 მოდულის განმახორციელებლად.

რეკომენდაცია: დაწესებულებას მოდულების განმახორციელებლად მინიმუმ ორი პედაგოგი ყავდეს, რადგან განსაკუთრებულ შემთხვევებში სასწავლო პროცესი არ შეფერხდეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

ესპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - **„საბაჟო საქმე“, „ბუღალტრული აღრიცხვა“**, **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“**, **„აღმზრდელი“**, **„ფარმაცია (საფთიაქო)“„საექთნო განათლება“** - პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: მასწავლებლები მეტნაკლებად იცნობდნენ მოდულებს, თუმცა საჭიროებენ კონსულტაციებს/ტრეინინგებს კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.

რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული მასწავლებლების დატრენინგება კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებებით;
- პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემით (evet.emis.ge);
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს შემუშავებული პროფესიული განათლების წესდება, რომელშიც გაწერილია პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის პროცედურები. დაწესებულების წესდება არეგულირებს პედაგოგების შერჩევას, რის მიხედვითაც, დაწესებულების პროფესიული პედაგოგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

სამსახურში ინიშნებიან დირექტორის ბრძანებით, პირადი განცხადებისა და პროფესიული პროგრამების მენეჯერის წარდგინების საფუძველზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს პირის შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ მასწავლებელთან იდება შრომის/მომსახურების ხელშეკრულება.

ექსპერტების მიერ გადამოწმებულ იქნა პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები, სადაც განთავსებული იყო წესდებით გათვალისწინებული საბუთები. პროგრამების განმახორციელებელ ყველა პედაგოგთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულება. პედაგოგები სამსახურში აყვანილი არიან თავიანთი გაწერილი წესის მიხედვით. პედაგოგების პირად საქმეებში არის დოკუმენტი, სადაც პედაგოგი ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესის და წესდების გაცნობას.

მომსახურების ხელშეკრულებებში შრომის ანაზრაურება მითითებულია, თუმცა არ არის დაკონკრეტებული შრომის ანაზღაურება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახდელებს თუ არა.

რეკომენდაცია: დაწესებულებამ მომსახურების ხელშეკრულებებში მიუთითოს ხელფასის ოდენობა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელების ჩათვლით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებებით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- 2018 წლის 25 დეკემბრის დირექტორის №29 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით.
- დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 5 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების წესდებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ა)

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულ ენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულ ენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	ქ. ბათუმი ჯავახიშვილის ქ. 3-ა	28	28
2	ბუღალტრული აღრიცხვა	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	ქ. ბათუმი ჯავახიშვილის ქ. 3-ა	56	56
3	საბაჟო საქმე	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში 1032	93	123	ქართული	ქ. ბათუმი ჯავახიშვილის ქ. 3-ა	48	48
4	აღმზრდელი	მეხუთე საფეხური	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში 0112	116	146	ქართული	ქ. ბათუმი ჯავახიშვილის ქ. 3-ა	56	56
5	ფარმაცია (სააფთიაქო)	მეხუთე საფეხური მეხუთე დონე	ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 29.02.2020-დან) 0916 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა 29.02.2020-მდე) 090352	120	150	ქართული	ქ. ბათუმი ჯავახიშვილის ქ. 3-ა	56	56

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.

6	საექთნო განათლება	მეხუთე საფეხური მეხუთე დონე	ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში (ამოქმედდეს 29.02.2020-დან) 0913 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში (მოქმედების ვადა 29.02.2020-მდე) 090554	180	210	ქართული	ქ. ბათუმი ჯავახიშვილის ქ. 3-ა	72	72

ბ)

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა საგნობრივი პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა საგნობრივი პროგრამის არაქართულ ენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი/ მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)
1	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	150	0	ქართული	ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. 3ა	22
2	ფარმაცევტის თანაშემწე	მეხუთე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	120	0	ქართული	ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. 3ა	21

IX. თანდართული დოკუმენტაცია

1. დღის წესრიგი;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 5 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების წესდება;
3. სს სამედიცინო კორპორაცია ევექსი - მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალთან დადებული №10 14/02/2019 ხელშეკრულება;
4. პროფესიულ მასწავლებელთან დადებული მომსახურების ხელშეკრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019წ.